დანართი №2

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში განხორციელებული ვიზიტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი
წევრები:
ია გელენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ქუთაისის სამედიცინო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 412672157

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2019 წლის 27 და 28 ნოემბერს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის ბრძანების N1111 საფუძველზე განახორციელა ვიზიტი შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების „საექთნო განათლებისა“ და „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის მიხედვით, რომლის მიხედვით ექსპერტთა შორის გადანაწილებული იქნა ფუნქციები.

ვიზიტის პირველ დღეს განხორციელდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა, ხარისხის მართვის მექანიზმებისა და პრაქტიკაში გამოყენების საკითხის შესწავლა, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუ, პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული რეგულაციების შესწავლა და მათი გამოყენების პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმება, ადამიანური რესურსის პირადი საქმეების, ხელშეკრულებებისა და მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება და სხვა.

დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დაგეგმა შემდეგი სამუშაო დღე.

ვიზიტის მეორე დღეს განხორციელდა ექსპერტების ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე, რომლის ფარგლებში დათვალიერებული იქნა შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფოს, კორპორაცია ევექსის კლინიკის (საექთნო განათლების პროგრამა) და შპს ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის (ფარმაცია(სააფთიქოს პროგრამა) ბაზები, ჩატარდა მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება და გადამოწმდა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების პირობები. ასევე, განხორციელდა კოლეჯის შენობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და დოკუმენტაციის შემოწმება მატერიალური სტანდარტის კუთხით.

შესვენების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს კოლეჯის საქმისწარმოების (გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის გადამოწმება) ფაქტობრივი მდგომარეობა, რეესტრის(evet.emis.ge) შევსების სისრულე, დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ვებგვერდისა და კატალოგი და სხვა.

დღის ბოლოს მოხდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულების წარმომადგენლების წინაშე შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ უზრუნველყო სამუშაო და საქმიანი გარემოს შექმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(თბილისი, 2020 წელი)

III. საქართველოს განათლებისა და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების	**მუხლი 6 /**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

	შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის ზონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

1.4. ვინაიდან, პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს „გამოუცხადებლობის გამო", რაც ასახულია შესაბამის ბრძანების საფუძვლებში, თუმცა, დაწესებულების არცერთ მარეგულირებელ წესში სტატუსის შეჩერების საფუძველად არ არის განსაზღვრული ,,გამოუცხადებლობა" და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებებს ხელს აწერენ მშობლებიც და ეს საკითხიც მარეგულირებელ დოკუმენტებში ამგვარად არ არის გაწერილი, ამიტომ, საჭიროა პროფესიულმა დაწესებულებამ ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვროს საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნები და დაიცვას იგი.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.6. სამსახურის ხელმძღვანელი გაათავისუფლოს მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობებისგან, რათა გამოთავისუფლებულ დროში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა მეტი დატვირთვით.

2.1. ა) რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ გამიჯნოს სასწავლო და კომერციული საქმიანობისთვის გამოყოფილი ფართები, რაზეც მითითებული იქნა 2019 წელს 5 და 6 სექტემბერს კოლეჯში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის ექსპერტების მიერაც ,,გაიმიჯნოს სასწავლო და სასტუმრო სივრცეები. ასევე გაიმიჯნოს სველი წერტილები, რათა მინიმუმამდე იქმნას დაყვანილი უცხო პირების შეხება პროფესიულ სტუდენტებთან და დაცული იყოს მათი უსაფრთხოება" და არ იქნა შესრულებული.

ბ) სასურველია დაწესებულებამ მოდულების კლინიკურ ბაზაზე განხორციელებისათვის ხელშეკრულებებს დაურთოს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რადგან ეს გაამარტივებს და ეფექტურს გახდის პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების დადასტურების კონტროლს, კლინიკურ ბაზებზე (ობიექტებზე);

2.2. დაწესებულებამ საჭიროა უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სიტემის მონტაჟი უახლოეს მომავალში;

2.3. ბიბლიოთეკით უკეთ სარგებლობის მიზნით დაწესებულებამ საჭიროა შეუცვალოს ფართს განთავსების ადგილი ან უზრუნველყოს მისი უკეთესი განათება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

2.4. საჭიროა დაწესებულებამ სრულყოფილად შეავსოს რეესტრის ბაზა პროფესიულ მასწავლებელთა, პერსონალის, ფართისა და აღჭურვილობის შესახებ ინფორმაციებით;

2.6. დაწესებულების ადმინისტრაციამ საჭიროა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვოს დაწესებულება, პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი;

2.8. სასურველია დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს ვებგვერდის მართვას, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლოს გაეცნოს მისთვის საჭირო ინფორმაციას.

2.9. დაწესებულებამ საჭიროა უზრუნველყოს და საჭიროა ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება ვებგვერდზე.

3.1. საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3.2.კოლეჯის ადმინისტრაციამ საჭიროა უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება მოდულური პროგრამების განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

VII. დაწესებულების მისია

მისია:

- ინდივიდის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის განვითარებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა, შესაბამისად მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება,
- შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის უზრუნველყოფა კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრებით;
- პროფესიული განათლების შესაბამისობის უზრუნველყოფასწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობისგზით;
- არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა, საკუთარი ბიზნესი სწამოწყების და/ან თვითდასაქმების გზით;
- პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
- პრინციპის - „სწავლა მთელისიცოცხლის განმავლობაში" - ხელშეწყობა და განვითარება;
- პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის ხელშეწყობა.

ხედვა:

- 2020 წლისთვის შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა იქნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პასუხობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ღირებულებები:

- სამართლიანობა, გამჭვირვალობა, სანდოობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს თავისივე რეგულაციის დაცვით შემუშავებული და დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამები: საექთნო განათლებისა და ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამების 2019 წლის 1 ოქტომბრის N 1/18, საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ბრძანება;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლების განხორციელების დასაბუთება: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 აპრილის N 447 ბრძანებით საექთნო განათლება ვაუჩერული დაფინანსების მიზნით განისაზღვრა პრიორიტეტულ პროგრამად, რაც იმის ნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ვაუჩერულ დაფინანსებას, ამით გაიზრდება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა, რაც შესაბამისად დადებითად იმოქმედებს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელზე. პროგრამაზე სწავლით დაინტერესებული პირების მომართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

საკმაოდ მაღალია. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა და საქმისმწარმოებელმა HR მოიძიეს და შეარჩიეს პროგრამის განმახორციელებელი პირები. მათი შეფასებით კოლეჯს ამ პროგრამის განხორციელების მიმართულებით აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, ჰყავს გამოცდილი და კვალიფიციური ადამიანური რესურსი, აქვს სათანადო სასწავლო რესურსი, ასევე მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა რეგიონის კლინიკებთან:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო) განხორციელების დასაბუთება: საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული „შრომის ბაზრის მოთხოვნების კომპონენტის კვლევის" შესაბამისად, მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალში პრიორიტეტულ ადგილს იკავებს ფარმაცევტული კვალიფიკაციის მქონე პირებზე მოთხოვნა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 აპრილის N 447 ბრძანებით ფარმაცია ვაუჩერული დაფინანსების მიზნით განისაზღვრა პრიორიტეტულ პროგრამად, რაც იმის ნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ვაუჩერულ დაფინანსებას, ამით გაიზრდება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელზე. დაწესებულება ახორციელებს ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროგრამას მილევად რეჟიმში (საგნობრივი); დგინდება, რომ სწავლით დაინტერესებული პირების მომართვა საკმაოდ მაღალია. ხარსიხის მართვის სამსახურის ხელმძრვანელმა და საქმისმწარმოებელმა HR შეარჩიეს პროგრამის განმახორციელებელი პირები. მათი შეფასებით კოლეჯს ამ პროგრამის განხორციელების მიმართულებით აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, ჰყავს გამოცდილი და კვალიფიციური ადამიანური რესურსი, აქვს სათანადო სასწავლო რესურსი, ასევე მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა რეგიონის აფთიაქებთან. მაღალია დასაქმების მაჩვენებელიც.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საექთნო განათლება და ფარმაცია(სააფთიაქო) დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის კოლეჯის რექტორის მიერ 2019 წლის 1 ოქტომბრის N 1/18 ბრძანებით, თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია: სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლების ენა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამებს ახლავს შესაბამისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ადაპტირებული მოდულები. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არის 40 საათზე ნაკლები.

საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები :

ა) შპს „კლინიკა ლჯ"- გაფორმების თარიღი 02.09.2019 წელი, ვადა - 6 წელი, ხელშეკრულების N 5/05;

ბ) შპს ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულიოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი - გაფორმების თარიღი 02.09.2019 , ვადა - 6 წელი, ხელშეკრ. N5/06;

გ) შპს ბომონდი - გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6 წელი , ხელშეკრ.N 5/09

დ) შპს ხონელიძის კლინიკა - გაფორმების თარიღი 09.09.2019, ვადა 6წელი, ხელშეკრულების N 5/08;

ე) შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი - გაფორმების თარიღი 08.05.2019, ვადა - 6 წელი, ხელშეკრულების N 5/04;

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება დამატებით 2 კლინიკურ ბაზასთან (განაცხადის შემდგომ წარმოდგენილი კლინიკური ბაზები):

1. შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო, გაფორმების თარიღი 08.10.2019, ვადა 6წელი,ხელშეკრულების N 5/12;
2. კორპორაცია „ევექსი".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

პრაქტიკის ობიექტებს სულ ერთდროულად შეუძლიათ 105 სტუდენტის მიღება - კონტიგენტის დათვლის მეთოდოლოგია პროგრამა საექთნო განათლება;

ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში ტექნიკური უზუსტობები, კერძოდ - კლინიკაში ერთდროულად სტუდენტთა მიღებულ რ-ბები დაფიქსირებულია არასწორად, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვიზიტის ფარგლებში შეფასებული ბაზების ხელშეკრულებები: დანართი N1 - შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო, გაფორმების თარიღი 08.10.2019 - ხელშეკრულებაში მითითებულია ერთდროულად 175 სტუდენტი;

დანართი N2 - შპს ხონელიძის კლინიკა - გაფორმების თარიღი 09.09.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/08 - ერთდროულად 35 სტუდენტი;

დანართი N3 - შპს „კლინიკა ლჯ"- გაფორმების თარიღი 02.09.2019 წელი, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/05 - ერთდროულად 70 სტუდენტი;

დანართი N4 -შპს ლჯ და კომპანია -დასავლეთ საქართველოს ტუბერკულიოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი- გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N5/06 - ერთდროულად - 91 სტუდენტი;

დანართი N5 - შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი - გაფორმების თარიღი 08.05.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/04 - 105 სტუდენტი;

ხელშეკრულებების შესაბამისად სულ სტუდენტთა რაოდენობა 5 კლინიკაზე 476 სტუდენტი ერთდროულად კლინიკურ ბაზებზე აღემატება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ქვოტის რაოდენობას. ამასთან, ეწინააღმდეგება მათ მიერ წარმოდგენილ კონტიგენტის დათვლის დოკუმენტაციას, სადაც მითითებულია სულ კლინიკურ ბაზებზე ერთდროულად 105 სტუდენტის მიღების შესაძლებლობასა და კლინიკური ბაზის შესაძლებლობას, ამასთან ხელშეკრულებაში მითითებულ რაოდენობას ერთდროულად კლინიკური ბაზა ვერ მიიღებს, დასტურდება ვიზიტის ფარგლებში დათვალიერები და პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ხელმძღვანელთან და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების დროსაც დგინდება ტექნიკური უზუსტობის ფაქტი, რაზეც ვიზიტის ფარგლებში განემარტათ.

ექსპერტების ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა ზ/აღნიშნული ტექნიკური უზუსტობის გასწორების დოკუმენტაცია - რაც დადასტურდა ზემოთ აღნიშნულ კლინიკური ბაზების ჩასწორებული ხელშეკრულებების ბეჭდითი ვერსიებით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან , საექთნო განათლების პროგრამის განხორციელებისათვის, მოიცავდა ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებს, განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას 1/7, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფის საკითხებს და კლინიკური მოდულების გავლისას პროფესიული სტუდენტების მათ გარეშე არდაშვებას, ასევე გაწერილია: ბაზის პასუხისმგებლობა; უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, სტუდენტის არადსციპლინური პასუხისმგბელობის დასმის უფლებამოსილება; წახალისების და სხვა საკითხების დასმის უფლებამოსილება; ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულებების დანართები, რომელშიც დაკონკრეტებულია კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პირების ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები.

ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:

1. შპს ქუთაისის დ.ნაზრიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი, გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/07;
2. შპს სამფარმა;
3. [redacted] გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6წელი, ხელშეკრულების N5/11;

ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში ტექნიკური უზუსტობები. კერძოდ - კლინიკაში ერთდროულად სტუდენტთა მიღებულ რ-ბები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

დაფიქსირებულია არასწორად, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ვიზიტის ფარგლებში შეფასებული ბაზების ხელშეკრულებები:

დანართი N6 - შპს ქუთაისის დ.ნაზრიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი - ერთდროულად 60 სტუდენტი;

დანართი N7 - [redacted] გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6წელი, ხელშეკრულების N5/11 - ერთდროულად 60 სტუდენტი;

სულ ჯამში 2 კლინიკური ბაზის ხელშეკრულებით 120 სტუდენტი, მოთხოვნილი ქვოტა - 60 სტუდენტი, კონტიგენტის დათვლის მეთოდოლოგიაში გაწერილია 3 კლინიკურ ბაზაზე ჯამში 60 სტუდენტი - უზუსტობა გამოიკვეთა ხელშეკრულებებში;

კლინიკურ ბაზებზე პრაქტიკის ობიექტებზე დასტურდება 20 სტუდენტის მიღება 2 ცვლაში, რაცას დაწესებულების წარმომადგენლებიც ინტერვიურებით ადასტურებენ;

ტექნიკური უზუსტობები დაწესებულების მიერ იქნა ვიზიტის ფარგლებში გასწორებული და დადასტურდა ვიზიტის მეორე დღეს ხელშეკრულებების ბეჭდითი ვერსიებით;

ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა 1. შპს ქუთაისის ცენტრალურ საავადმყოფოში 2. კორპორაცია ევექსის კლინიკაში (საექთნო განათლების პროგრამა) და შპს ქუთაისის დ.ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი (ფარმაცია(სააფთიქოს პროგრამა) ბაზებზე, პრაქტიკის ბაზების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, თუ როგორ განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ადგილზე შემდეგი ქმედებები: პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვა, პროფესიული სტუდენტების შეფასება და სხვა. ბაზების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საწარმო მოახდენს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას მატერიალური და ადამიანური რესურსით და პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვებას საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, მასალა-ნედლეუთან/საშუალებებთან, რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტებზე პრაქტიკის ხელმძღვანელები არიან დარგობრივად მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების პირები თუმცა არ არიან მომზადებულები ახალი სტანდარტების პირობებში მოდულური პროგრამების განხორციელების მეთოდოლოგიაში და საჭიროებენ მომზადებას, ინტერვიურებით პრაქტიკის ხელმძღვანელებთან, დგინდება პერსონალის მზაობა და მოტივაცია მოემზადონ რათა ეფექტურად განახორციელონ პროგრამა;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 1 ოქტომბრის N 1/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- კოლეჯის მიერ გაფორმებული პრაქტიკის ხელშეკრულებებით;
- ვიზიტით პრაქტიკის ობიექტებზე;
- განხორციელების დასაბუთება;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების ვებ გვერდზე http://www.kms.edu.ge/ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, პროექტების შესახებ, საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების აღწერილობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

(სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, დასაქმების სფერო), შეფასების წესი, კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას განხორციელებული პროექტების, სტუდენტური აქტივობების, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურების, პარტნიორი ორგანიზაციების და ინფრასტრუქტურის შესახებ. კატალოგი განახლებულია 2019 წელს და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

კატალოგში ასახულია განსახორციელებელი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ანონსის სახით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით: http://www.kms.edu.ge/?page_id=118/
- ვიზუალური დათვალიერებით. http://www.kms.edu.ge/wp-content/uploads/2019/10/katalogi.docx.pdf

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება, ფარმაცია(სააფთიქო) პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის 2019 წლის 1ოქტომბრის N 1/18 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:
  1. საექთნო განათლება ;
  2.ფარმაცია(სააფთიაქო);
- ჩარჩო დოკუმენტებით: საექთნო განათლება (ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ), ფარმაცია((სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი 09110-პ)

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

რომელიც გაწერილია კოლეჯის უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობებს და წარმოსადგენ დოკუმენტებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველს და ვადას (3 წელი), პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის პირობებს, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების და ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვა ზემოთ აღნიშნულ სიტუაციებში და გაირკვა, რომ მობილობის, მიღებული განათლების აღიარების და ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევები კოლეჯში არ ყოფილა. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დაწესებულებას გაწერილი რეგულაციის დაცვით ჰქონდა გაკეთებული. კერძოდ, პროფესიული სტატუსის შეწყვეტის მიზეზი ,,სხვა კოლეჯში გადასვლის გამო" დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში იყო მითითებული.

რაც შეეხება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, ამ შემთხვევაში რექტორის შესაბამის ბრძანებაში პირობად მითითებული იყო სტატუსის შეჩერების მიზეზი ,,გამოუცხადებლობის გამო". პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება განხორციელებული იყო ახალი მარეგულირებელი წესის მიღებამდე, რომელიც დამტკიცებული იქნა კოლეჯის რექტორის ბრძანებით N 1/05 (16.01.2019). შესაბამისად, ექსპერტებმა აღნიშნული დოკუმენტები გადაამოწმეს ძველი, იმ პერიოდისთვის დამტკიცებული რეგულაციით, თუმცა დადგინდა, რომ არც შეცვლამდე და არც განახლებულ მარეგულირებელ დოკუმენტში არ იყო მითითებული ,,გამოუცხადებლობის გამო" პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

გარდა ამისა, სრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან სტატუსის მოპოვებისას ხელშეკრულებაზე დაწესებულება ხელს სავალდებულოდ აწერინებს მშობელსაც, თუმცა ეს საკითხი დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში არაა ამგვარად გაწერილი.

ხარვეზი: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების არასწორად განსაზღვრისა და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო ხელმოწერის მარეგულირებელ დოკუმენტებში ჩანაწერის არ არსებობის გამო დადგინდა, რომ საჭიროა პროფესიულმა დაწესებულებამ ზედმიწევნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

ზუსტად განსაზღვროს საკუთარი მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნები და დაიცვას იგი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესები;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

\| ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და ამავე დროს, კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი, დამტკიცებული შპს ქუთაისი სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით N 1/05 (16.01.2019);
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;
- თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის, 2018 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მასში გაწერილია დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ტარდება როგორც პროგრამის მიმდინარეობისას ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების განხორციელების შეფასების მიზნით. ინტერვიუერებს ურიგდებათ კითხვარები, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან წელიწადში 1-ჯერ სამი წლის განმავლობაში. პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა მოდულის/სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ; ადმინისტრაციის გამოკითხვა ხორციელდება ექვს თვეში ერთხელ. გამოკითხვის შედეგების ანალიზი კეთდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება და ახალი რედაქციით დამტკიცება. დაწესებულება ახორციელებს აღნიშნული კითხვარების შევსების მონიტორინგს და შესაბამის ანგარიშს ამზადებს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და შედეგებს იყენებენ სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმდა აღნიშნული წესის პრაქტიკულად განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ იგი მინიმალურ დონეზე ასრულებს დებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

მოთხოვნას. დაწესებულების ხელმძღვანელს **მიეცა რეკომენდაცია, რომ სამსახურის ხელმძღვანელი გაათავისუფლოს მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობებისგან, რათა გამოთავისუფლებულ დროში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა მეტი დატვირთვით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დამტკიცებული შპს ქუთაისი სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით N 1/16 (09.09.2019);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი, დამტკიცებული შპს ქუთაისი სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით N 1/05 (16.01.2019);
- შევსებული კითხვარები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ,,ქუთაისის სამედიცინო სკოლას" (412672157) 11 წლის ვადით 2016 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება მოიჯარე შპს ,,ქუთაისის აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფოსთან" (212693664). ნაკვეთის (არასასოფლო სამეურნეო) ფართობი 3044.00 კვ.მ მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, სულ 4 ერთეულით [redacted].

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

სასწავლო ფართად კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნულ შენობა-ნაგებობებში გამოყენებულია N1 და N3 ფართები (საერთო ჯამში გამოყენებულია 1901.34 კვ.მ), რომელიც არ არის გამიჯნული სხვა დანიშნულებით გამოყენებული ფართებისგან.
აღნიშნულ შენობებში პირველი სართულზე ნაწილი ფართი გამოყენებულია არასასწავლო დანიშნულებით, ხოლო ნაწილში ეწყობა პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. ავტორიზაციით დადგენილი პროფესიულ სტუდენტთა კვოტა არის 500 და ამ ეტაპისთვის სწავლობს 88 პროფესიული სტუდენტი მილევად პროფესიულ საგნობრივ პროგრამებზე. კოლეჯს განაცხადით შემოტანილი აქვს საერთო ჯამში კიდევ 165 პროფესიული სტუდენტის კვოტის მოთხოვნა, რომელთა ჯამური მაჩვენებლიდან 253-დან თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე მოსული ფართის გამოანგარიშება ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო ზუსტად ვერ დადგინდა, თუმცა ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შესაძლებელია იმის დადასტურება, რომ სასწავლო მიზნებით გამოყენებულ ფართში 253 პროფესიული სტუდენტის სწავლება შესაძლებელია.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
N1	ქ. ქუთაისი, მ. დვალიშვილის ქ. N13	1088.86 კვ.მ;
N2	ქ. ქუთაისი, მ. დვალიშვილის ქ. N13	302.6 კვ.მ;
N3	ქ. ქუთაისი, მ. დვალიშვილის ქ. N13	812.48 კვ.მ
N4	ქ. ქუთაისი, მ. დვალიშვილის ქ. N13	9.38 კვ.მ.

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ გამიჯნოს სასწავლო და კომერციული საქმიანობისთვის გამოყოფილი ფართები, რაზეც მითითებული იქნა 2019 წელს 5 და 6 სექტემბერს კოლეჯში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის ექსპერტების მიერაც „გაიმიჯნოს სასწავლო და სასტუმრო სივრცეები. ასევე გაიმიჯნოს სველი წერტილები, რათა მინიმუმამდე იქმნას დაყვანილი უცხო პირების შეხება პროფესიულ სტუდენტებთან და დაცული იყოს მათი უსაფრთხოება“ და არ იქნა შესრულებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია 10 სასწავლო აუდიტორია, მათ შორის თითო კლასი ფარმაცევტისა და ექთნის ინვენტარით აღჭურვილი, 1 კომპიუტერული კლასი, მედდის ოთახი და ბიბლიოთეკა.

საერთო ჯამში, ზემოთ მითითებულ 11 ერთეულ სასწავლო ფართში განთავსებულია 226 (2 ადგილიანი მაგიდა), პროფესიული სტუდენტის 452 სკამი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი 11-11 ცალი, პროფესიული მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერის 6 კომპლექტი და პროფესიული სტუდენტებისთვის 20 კომპიუტერი, 6 დიდი ზომის მონიტორი, 3 პრინტერი და 11 დაფა.

აღნიშნული სასწავლო ფართების განკუთვნილია მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის, ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის განმარტებით, ახორციელებენ პრაქტიკის ობიექტებზე. შესაბამისად, შპს ქუთაისი სამედიცინო სკოლის საკუთრებაში არსებული და სასწავლოდ აღჭურვილი ფართი შეესაბამება ქვესტანდარტის მოთხოვნას და საკმარისია 253 პროფესიული სტუდენტის თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის დაწესებულება იყენებს პრატიკის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ფარმაციის პროგრამა:

დანართი N6 - შპს ქუთაისის დ.ნაზრიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი - ერთდროულად 60 სტუდენტი;

დანართი N7 - [redacted] გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N5/11 - ერთდროულად 60 სტუდენტი;

ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებით შეფასდა:

1. ხელშეკრულებაში მითითებული ფარმაციის მოდულების განხორციელების შესაბამისობა:

მატერიალური რესურსი - სტანდარტთან შესაბამისობა, დაწესებულებას ფარმაციის პროგრამაზე C გარემო გატანილი აქვს მთლიანად ობიექტზე, დგინდება მატერიალური რესურსის შესაბამისობა მოთხოვნილ ქვოტასთან მიმართებაში (ხელშეკრულებაში გაწერილი კლინიკური ბაზის ვალდებულებების შესაბამისად); უსაფრთხოების ზომების დაცვის უზრუნველყოფის წესი; ხელშეკრულებაში მითითებულია - დანართი N6 : 1. ერთდროულად 60 სტუდენტის მიღების შეთანხმება; დათვალიერებით დგინდება 20 სტუდენტის მოცვის შესაძლებლობა მატერიალური რესურსების შესაბამისად;

2. ფარმაციის პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ კლინიკურ ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია:

   მოდულების ჩამონათვალი და საჭიროა ყველა მატერიალური და ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის შესახებ, სასურველია დაწესებულებამ მოდულების კლინიკურ ბაზაზე გატანის შემთხვევაში ხელშეკრულებებს დაურთოს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რადგან ეს გაამარტივებს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების დადასტურების კონტროლს ობიექტებზე, დაწესებულებისათვის;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაადგინეს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

1. კლინიკურ ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა ქვოტა ხელშეკრულებაში მითითებული რ-ბების მიხედვით, ერთდროულად 60 სტუდენტი, ვერ განხორციელდება, ინტერვიურებით გამოვლინდა ტექნიკური შეცდომა, რაც ადგილზე ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან გასწორებულ იქნა;

2. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შესაბამისობა დადგენილია ფარმაციის პროგრამაზე - ორ ბაზაზე 60 პროფესიულ სტუდენტისათვის -1 ობიექტი 2 ცვლაში 20 სტუდენტი, მე-2 ობიექტი ორ ცვლაში ერთდროულად 40 სტუდენტი, სულ 60 სტუდენტი;

3. საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე

შპს ქუთაისი სამედიცინო სკოლის საკუთრებაში არსებული და სასწავლოდ აღჭურვილი ფართი შეესაბამება ქვესტანდარტის მოთხოვნას და საკმარისია 253 პროფესიული სტუდენტის თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის დაწესებულება იყენებს პრატიკის ობიექტებს:

დანართი N1 - შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო, გაფორმების თარიღი 08.10.2019 - ხელშეკრულებაში მითითებულია ერთდროულად 175 სტუდენტი - ინტერვიურებით ბაზა განახორციელებს ერთდროულად 20 სტუდენტის მიღებას, 2 ცვლაში 40 სტუდენტი;

დანართი N2 - შპს ხონელიძის კლინიკა - გაფორმების თარიღი 09.09.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/08 - ერთდროულად ორ ცვლაში 35 სტუდენტი - ინტერვიურებით დასტურდება ხელშეკრულებაში მითიოთებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა;

დანართი N3 - შპს „კლინიკა ლჯ"- გაფორმების თარიღი 02.09.2019 წელი, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/05 - ერთდროულად 70 სტუდენტი - ინტერვიურებით დასტურდება პრაქტიკის ობიექტზე ერთდროულად 20 სტუდენტის მიღება, ორ ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

დანართი N4 -შპს ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულიოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი- გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N5/06 - ერთდროულად - 91 სტუდენტი - ინტერვიურებით დასტურდება კლინიკურ ბაზაზე 10-15 სტუდენტის ერთდროულად მიღებისა და პრაქტიკული სწავლების განხორციელების შესაძლებლობა, ორ ცვლაში 30 სტუდენტი;

დანართი N5 - შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი - გაფორმების თარიღი 08.05.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/04 - 105 სტუდენტი - ინტერვიურებით დასტურდება სულ ერთდროულად 20 სტუდენტი, ასევე ორ ცვლაში 40 სტუდენტი;

ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ახალ კლინიკურ ბაზასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულებამ გააფორმა კორპორაცია „ევექსთან";

ექსპერტების მიერ შეფასდა ადგილზე კლინიკური ბაზა - რეფერალურ კლინიკა D კორპუსი, სასწავლო გარემო და მატერიალური/ტექნიკური რესურსების შესაბამისობა, პროგრამასთან მიმართებაში და სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე ერთდროული მიღების შესაბამისობა ხელშეკრულებით გაწერილ რ-ბებთან;

დასტურდება ხელშეკრულებაში გაწერილი რ-ბა 105 პროფესიული სტუდენტი და ინტერვიურებით ერთ ცვლაში ერთდროულად 50 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, ორ ცვლაში 100 სტუდენტი;

ექსპერტთა მოსაზრებით შპს ქუთაისი სამედიცინო სკოლის პრატიკის ობიექტები და სასწავლოდ აღჭურვილი ფართი შეესაბამება ქვესტანდარტის მოთხოვნას და საკმარისია 285 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის, კერძოდ: საექთნო განათლება-105 პროფესიული სტუდენტი და ფარმაცია (სააფთიაქო)-60 პროფესიული სტუდენტი.

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ მოდულების კლინიკურ ბაზაზე განხორციელებისათვის ხელშეკრულებებს დაურთოს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რადგან ეს გაამარტივებს და ეფექტურს გახდის პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების დადასტურების კონტროლს, კლინიკურ ბაზებზე (ობიექტებზე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;
- ინვენტარისა და ტექნიკის საკუთრების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ვიზიტისას შემოწმდა აღნიშნული ქვესტანდარტის მოთხოვნების დაცვა. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო - ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. გათბობის საშუალებებად გამოყენებულია ელექტრო გამათბობლები, რომლებიც განთავსებულია ყველა აუდიტორიაში, რაც მინიმალურად აკმაყოფილებს ქვესტანდარტის მოთხოვნას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სიტემის მონტაჟი უახლოეს მომავალში.
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კომუნალურების გადახდის ქვითრები, ქონების ფლობის დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ საჭიროა უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სიტემის მონტაჟი უახლოეს მომავალში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური გადასახადის ქვითრები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

- მიღება-ჩაბარების აქტები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა მიერ ადგილზე შემოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკის ბეჭდური და ფონდი ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. ფაქტობრივი მდგომარეობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია 1 კომპიუტერით, სადაც ჩატვირთულია ელექტრონული ლიტერატურა, თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ვებგვერდზე განათვსებულია სახელმძღვანელოების ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას გააჩნია ბუნებრივი განათების შესაძლებლობაც (1 ფანჯარა) და ხელოვნურიც, თუმცა ვიზიტის დროს იგი არ იყო სათანადოდ განათებული.

რეკომენდაცია: ბიბლიოთეკით უკეთ სარგებლობის მიზნით დაწესებულებამ საჭიროა შეუცვალოს ფართს განთავსების ადგილი ან უზრუნველყოს მისი უკეთესი განათება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ ვიზიტის პერიოდში განხორციელდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენების დამადასტურებელი ბაზების გამოყენება საგანმანათლებლო საქმიანობასა და დაწესებულების მართვაში.

კოლეჯში პროფესიული მასწავლებლისთვის განკუთვნილია კომპიუტერის 6 კომპლექტი, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის - 2 კომპლექტი და 2 კომბინირებული პრინტერი, ხოლო პროფესიული სტუდენტებისთვის კი 20 კომპიუტერი. აუდიტორიებში დამონტაჟებულია 6 დიდი ზომის მონიტორი და სასწავლო მიზნებისთვის გამოყოფილია 3 პრინტერი.

კოლეჯი აწარმოებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანას და იგი ევალება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, თუმცა რეესტრის ბაზის გადამოწმებისას დადგინდა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეტანილია მხოლოდ ძირითად ინფორმაცია, ასახულია ცვლილებები, რომლების განხორციელდა კოლეჯის ფუნქციონირების პერიოდში. მაგ. პროფესიული სტუდენტის სტატუსის ცვლილება, პროფესიული მასწავლებლების ბაზის განახლება და სხვ.

რეკომენდაცია: საჭიროა დაწესებულებამ სრულყოფილად შეავსოს რეესტრის ბაზა პროფესიულ მასწავლებელთა, პერსონალის, ფართისა და აღჭურვილობის შესახებ ინფორმაციებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის evet.emis.ge გადამოწმებით.
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/01 (03.01.2019) დამტკიცებულია „საქმის წარმოების ერთიანი წესი" იგი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზეც.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის „საქმისწარმოების ერთიანი წესის" გამოყენების გადამოწმება. კერძოდ, მოხდა დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება. დადგინდა, რომ თითოეული სარეგისტრაციო ჟურნლი ზონარგაყრილია, დალუქულია და ნაწარმოებია საქმის წარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. კოლეჯი აწარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვას, პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების, ბრძნებების რეგისტრაციას ინდექსებისა და რიგითი ნომრების მინიჭებას. ასევე, დაცულია ბეჭდების და შტამპების გამოყენების წესები.

დაწესებულების საქმის მწარმოებლის ინფორმაციით კოლეჯი უკვე ჩართულია eFlow სისტემაში და მის ამოქმედებას გეგმავს მიმდინარე წლის დეკემბრიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/01 (03.01.2019) დამტკიცებული „საქმის წარმოების ერთიანი წესი".
- eFlow ელექტრონული მართვის სისტემის გადამოწმებით;
- ვებ-გვერდი http://www.kms.edu.ge/;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას დაზუსტდა, რომ სასწავლო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების ინსტრუქციები, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და ცეცხლმაქრები. საევაკუაციო გეგმაში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია ფაქტობრივ მდგომარეობასთან, თუმცა იგი არ არის შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და არის მხოლოდ კოლეჯის რექტორის მიერ დამტკიცებული, ასევე, შენობაში არ არის დამონტაჟებული კვამლის დეტექტორები და განგაშის მაუწყებელი სისტემები.

დაწესებულებაში არის მედდის კაბინეტი და პირველადი დახმარებისთვის საჭირო რესურსი. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, დამტკიცებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/05 (16.01.2019) და „წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველობის მექანიზმები" დამტკიცებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/05 (16.01.2019).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

რეკომენდაცია: დაწესებულების ადმინისტრაციამ საჭიროა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვოს დაწესებულება, პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები", დამტკიცებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/05 (16.01.2019)
- „წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველობის მექანიზმები" დამტკიცებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/05 (16.01.2019);
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ექსპერტებმა ვიზიტისას შეამოწმეს შენობაში მოწყობილი პანდუსები და სველი წერტილები, რომელიც მორგებულია შშმ პირებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენელთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(თბილისი, 2020 წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდი http://www.kms.edu.ge/ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, მისია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ადმინისტრაცია, პროფესიული მასწავლებლები, კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, განვითარების სტრატეგიული (ერთწლიანი და 6 წლიანი სამოქმედო) გეგმები, განახლებული კატალოგი და მასში ანონსის სახით შეტანილი ინფორმაცია დამატების მიზნით წარდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ბიბლიოთეკა, ფოტო-ვიდეო გალერეა, საკონტაქტო ინფორმაცია.

დაწესებულების ვებგვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ ინფორმაციის განახლება ხდება, თუმცა იგი მწირია, არარეგულარულად და არასათანადოდაა შესრულებული. მაგ. ვებგვერდზე არ იყო განთავსებული ყოველწლიური ანგარიშები სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ და ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. სიახლეების ველში არის განთავსებული 2 სიახლე, მაგრამ თარიღისა და შინაარსის მითითების გარეშე.

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს ვებგვერდის მართვას, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლოს გაეცნოს მისთვის საჭირო ინფორმაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

- დაწესებულების ვებ-გვერდით: http://www.kms.edu.ge/

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა, იგი ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. დაწესებულების განვითარების გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში 2019-2025წწ გაწერილია შემდეგი საკითხები: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია, SWOT ანალიზი; წლების მიხედვით გაწერილი სტრატეგიული მიზნები

ვებგვერდზე განთავსებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2019წ.). აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პოლიტიკა, ასევე, კოლეჯის მიერ მიმდინარე წელს დაგეგმილი პროფესიული პროგრამების დამატებისათვის საჭირო აქტივობები.

დაწესებულების ვებგვედზე არაა ატვირთული ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ საჭიროა უზრუნველყოს და საჭიროა ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება ვებგვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

დაწესებულების ვებ-გვერდით: http://www.kms.edu.ge/

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა დაწესებულების სტრუქტურა, პერსონალის პირადი საქმეები, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სტრუქტურით გათვალისწინებულია 8 თანამდებობა. დაწესებულებას შემუშავებული და სათანადო წესით დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, თუმცა არ აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით უნდა განხორციელდეს კვალიფიციური პერსონალის შერჩევა. ამასთან, დაწესებულებაში ერთსა და იმავე პირს შეთავსებული აქვს სხვა საქმიანობაც. ავტორიზაციის ვიზიტის დროს ინტერვიუსას გაირკვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს დავალებული აქვს დაწესებულების ბუღალტერიისა და რეესტრის წარმოება, ხოლო რექტორი ითავსებს უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობას. გამომდინარე იქიდან, რომ სტრუქტურის მიხედვით წარმოდგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის შემუშავებული, შესაბამისად ვერ მოხერხდა იმის დადასტურება კვალიფიკაციით შეესაბამება თუ არა პერსონალი დაკავებულ თანამდებობებს. გამონაკლისი იყო ბიბლიოთეკარი და ექთანი, რომელთა კვალიფიკაციის დადასტურება ხერხდება პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.
რეკომენდაცია:საჭიროა დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის რექტორის ბრძანებები პერსონალის დანიშვნის შესახებ;
- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები;
- დაწესებულების პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

- დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო განრიგი, დამკიცებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/04 (08.01.2019)

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რომელთა გადამოწმებით დასტურდება მათი განათლებისა და შრომითი გამოცდილების საფუძველზე განსახორციელებელ მოდულებთან შესაბამისობა. დასამატებელ პროგრამებზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს სულ 165 პროფესიული სტუდენტი. საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიქო) პროგრამის განმახორციელებლებისა და მოთხოვნილი კვოტის თანაფარდობა არის 32/60; საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება პროგრამის განმახორციელებლებისა და მოთხოვნილი კვოტის თანაფარდობა 41/105; შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

რაც შეეხება, „საექთნო განათლების" საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, იგი განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, თუმცა, ჯერ არ არის განსაზღვრული კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელებაში ჩართული პირების ვინაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამების ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს. მათი განმარტებით ისინი ჩართული იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ინტერვიუს დროს განმახორციელებლები აღნიშნავენ, რომ პროგრამის თავად ქმნიან კალენდარულ გეგმას, შეფასების ინსტრუმენტს საგნობრივ პროგრამებზე და ათანხმებენ შესაბამის სამსახურებთან, იცნობენ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებს, თუმცა მოდულური პროგრამების განხორციელების, შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით მზად არიან გაიარონ მომზადება, რათა მიაჩნიათ რომ ახალი სტანდარტებით მოდულური პროგრამების განხორციელება რთულია და მოითხოვს უფრო მეტ ინფორმირებულობასა და ჩართულობას განმახორციელებლებისაგან;

ინტერვიურებით ასევე დგინდება, რომ მოდულური პროგრამების განმახორციელებლები არ არიან ინფორმირებულები/ჩართულები ახალი პროგრამების სასწავლო გეგმის შემუშავებაში და არ ფლობენ ინფორმაციას მოდულური პროგრამების განხორციელების მეთოდოლოგიის შესახებ;

რეკომენდაცია: კოლეჯის ადმინისტრაციამ საჭიროა უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება მოდულური პროგრამების განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.
- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/03 (0.01.2019) დამტკიცებული „თანამდებობრივი ინსტრუქცია - დებულება“.
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანების №1/16 (09.09.2019) „შრომის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად.
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება პირადი განცხადების საფუძველზე, რომლის შემდეგ ხდება მათთან გასაუბრება ან კონკურსის წესით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით ირკვევა, რომ ისინი შერჩეულები იყვნენ პირადი განცხადების საფუძველზე. მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა მათში მითითებული არა იყო ანაზღაურება. ექსპერტთა ჯგუფთან აღნიშნულზე მსჯელობის შემდეგ ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულკებამ წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები, რომელშიც მიუთითა შრომის ანაზღაურება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შრომის შინაგანაწესი, დამტკიცებული შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორის ბრძანებით №1/16 (09.09.2019);
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საექთნო განათლება მოდულური	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში *(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)-0913* ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი)-090554*	180	210	ქართული	დვალიშვილის 13, ქუთაისი	-	105
2	ფარმაცია (სააფთ	მეხუთე დონე/ს	ა) ასოცირებული			ქართული	დვალიშვილის 13, ქუთაისი	-	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

	იაქო) მოდუ ლური	აფეხუ რი	ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდე ს 2020 წლის 29 თებერვლი დან)-0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიუ ლი კვალიფიკა ცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352	123	153				

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები:

დანართი N1 - შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო, გაფორმების თარიღი 08.10.2019 , ვადა 6 წელი;

დანართი N2 - შპს ხონელიძის კლინიკა - გაფორმების თარიღი 09.09.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/08;

დანართი N3 - შპს „კლინიკა ლჯ"- გაფორმების თარიღი 02.09.2019 წელი, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/05;

დანართი N4 -შპს ლჯ და კომპანია -დასავლეთ საქართველოს ტუბერკულიოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი- გაფორმების თარიღი 02.09.2019 , ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N5/06;

დანართი N5 - შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი - გაფორმების თარიღი 08.05.2019, ვადა 6 წელი, ხელშეკრულების N 5/04;

დანართი N6 - შპს ქუთაისის დ.ნაზრიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(თბილისი, 2020 წელი)

დანართი N7 - ი/მ ირმა ჯანელიძე, გაფორმების თარიღი 02.09.2019, ვადა 6წელი, ხელშეკრულების N5/11;
დანართი N8 - პედაგოგის ხელშეკრულება;
დანართი N9 - პედაგოგის ხელშეკრულება;
დანართი N10 - ვიზიტის დღის წესრიგი.

09.01.2020 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(თბილისი, 2020 წელი)